იურიდიული (სამართლებრივი) შეჯამება

Cavca v. the Republic of Moldova

საჩივარი N21766/22

09.01.2025

მუხლი 6

მუხლი 6_1

სამართლიანი განხილვა

დისციპლინური სამართალწარმოება სახელმწიფო მოხელის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა მისი სამსახურიდან გათავისუფლება მას შემდეგ, რაც, სავარაუდოდ, წაქეზებული იყო შეფარული სახელმწიფო აგენტის მიერ ქრთამის მიღებაში, როგორც პროფესიული კეთილსინდისიერების ტესტის ნაწილი: *დარღვევა*

ფაქტები - მომჩივანი გაათავისუფლეს გარემოს დაცვის ინსპექციის (EDI) სახელმწიფო მოხელის თანამდებობიდან დისციპლინური დანაშაულის ჩადენისთვის, კერძოდ ქრთამის აღებისთვის, რაზეც იგი იქნა წაქეზებული შენიღბული სახელმწიფო აგენტის მიერ, EPI-ს თანამშრომლების შემთხვევითი პროფესიული კეთილსინდისიერების ტესტის/შემოწმების ნაწილის სახით, რომლის ჩატარებაც მანამდე იქნა ნებადართული მოსამართლის მიერ. იგივე მოსამართლემ ტესტის შედეგების შეფასების/შემოწმების შედეგად დაასკვნა რომ მომჩივანმა წარუმატებლად გაიარა ტესტი მის მიერ შენიღბული სახელმწიფო აგენტისგან ქრთამის აღების ნიადაგზე და რომ იგი ზუსტად იგივენაირად მოიქცეოდა სახელმწიფო ორგანოების არ ჩარევის/ჩაურევლობის შემთხვევაშიც კი. მომჩივანი გაანთავისუფლეს EPI-დან. მან წარუმატებლად სცადა გადაწყვეტილების გასაჩივრება ეროვნული სასამართლოების წინაშე, სადაც ამტკიცებდა რომ იგი სახელმწიფო აგენტებმა წააქეზეს დანაშაულის ჩადენისკენ და რომ სანქცია სამსახურიდან გაშვების სახით არ იყო პროპორციული.

(1) გამოყენებადობა-

სისხლის სამართლის მხარე- მომჩივანი არ იყო დამნაშავედ ცნობილი არც ერთი დანაშაულისთვის რომელიც ეროვნული სამართლის მიერ მიიჩნევა სისხლის სამართლის დანაშაულად, არამედ დაისაჯა იმ ქმედებისთვის რომელიც მიეკუთვნება დისციპლინური კანონმდებლობის სფეროს. იმის გათვალისწინებით რომ მომჩივანის საქციელის ზოგი ასპექტი წააგავდა კორუფციის სისხლის სამართლის დანაშაულის ფუნდამენტურ ელემენტებს, შესაბამისმა საკანონმდებლო რეჟიმმა მისი დასანქცირება მოახდინა იმ დამოკიდებულებისთვის რომელიც მან აჩვენა ტესტისთვის

ხელოვნურად შექმნილი სიტუაციის დროს და არა კანონით აკრძალული კონკრეტული ქმედებისთვის. შესაბამისად, მოცემული წესების დარღვევა თავისი ბუნებით იყო დისციპლინარული და არ უკავშირდებოდა სისხლის სამართალს. უფრო მეტიც, დისციპლინარული გადაცდომისთვის გამოყენებული სანქციები მოიცავდა როგორც გაფრთხილებებს და საყვედურებს, ასევე დაწინაურების უფლების მოხსნას და სამსახურიდან გაშვებას- ტიპიური დისციპლინარული სანქციები. მომჩივანმა დიდი ჯარიმის გადახდას ან დაკავებას ამჯობინა რომ იგი გაეშვათ სამსახურიდან, რაც გულისხმოდა რომ ხუთი წლის განმავლობაში მას არ ქონდა უფლება რომ თავიდან აეყვანათ სახელმწიფო მოხელედ.

ზემოთ აღნიშნული ელემენტების გათვალისწინებით სასამართლომ დაასკვნა რომ მომჩივანის წინააღმდეგ წარმოდგენილი დისციპლინარული საქმისწარმოება არაფერ შუაში იყო სისხლის სამართლის დანაშაულის არსებობის დადგენასთან მეექვსე მუხლის მნიშვნელობის თანახმად.

დასკვნა: მეექვსე მუხლის სისხლის სამართლის მხარე არ გამოიყენება

სამოქალაქო სამართლის მხარე-საქმისწარმოება მომჩივანისთვის სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით გადამწყვეტ როლს თამაშობდა მისი უფლებებისთვის იმ მხრივ რომ მათ შეეძლოთ იმ სანქციის გაუქმება თუ იქნებოდა ეს საჩივარი ნებადართული. რაც შეეხება ამ უფლების სამოქალაქო მხარეს, ეროვნულმა კანონმდებლობამ ნება დართო სახელმწიფო მოხელეს რომ დისციპლინარული სანქცია სასამართლოში გაესაჩივრებინა, უფლება რომელიც მომჩივანმა გამოიყენა.

დასკვნა: მეექვსე მუხლი გამოყენებადია მისი სამოქალაქო მხრით

(2)არსებითი მხარეები

საქმის სამართლიანი განხილვის გარანტიის შესაბამისობა სამოქალაქო საქმის წარმოებისთვის და სასამართლოს მიდგომისთვის- მომჩივანის წინააღმდეგ გამართული საქმის წარმოება მოიცავდა მისი ქმედებების და დამოკიდებულების შეფასებას ხელოვნურად შექმნილი სიტუაციის დროს, იმის მიუხედავად რომ მისი პროფესიული საქმიანობის დროს შესაძლო სიტუაციების სიმულაციის მიზნით იყო შემუშავებული. საქმის წარმოების სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის, ამ შეფასებას უნდა მოეცვა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით თუ დაკვირვებული ქმედება პროფესიულ მოთხოვნილებებს არ შეესაბამებოდა ან იყო მიზანშეუწონლად იყო გამოწვეული და აქედან გამომდინარე წამოადგენდა არასანდო საფუძველს დისციპლინარული დანაშაულის დადგენისთვის. ასეთ გარემოებებში დასადგენი

ელემენტების და მტკიცებულების სტანდარტი არ იყო ზუსტად იგივე როგორც სისხლის სამართლის საქმისწარმოების დროს და იყო საკმარისი ელემენტი რომ აეღოთ ინსპირაცია, შესაბამისი მორგებებით, სამართლიანი სასამართლოს გარანტიიდან განვითარდა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში მეექვსე მუხლის პირველ პარაგრაფში დანაშაულისკენ წაქეზების სისხლის სამართლის კონტექსტის თანახმად.

თუმცა სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა პროფესიული კეთილსინდისიერების ტესტირების სპეციფიკა, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო უწყებების მიერ ხელოვნური სიტუაციების შექმნას, მსგავსი იმ სიტუაციებისა რომლებიც შეიძლება მომხდარიყო გამოცდილი პირების პროფესიული საქმიანობის კონტექსტში, მათი რეაქციის შესამოწმებლად. იქიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით რომ არ არსებობდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩადენილი ქმედებისთვის, სასამართლომ მიიჩნია რომ ასეთი ტესტის ჩატარება პირის პროფესიული ქცევის წესების შენარჩუნების სურვილის დასადასტურებლად, თავისთავად არ წარმოადგენდა დანაშაულისკენ წაქეზებას და მეექვსე მუხლის პირველ პუნქტის მოთხოვნებთან. მიუხედავად ამისა, კეთილსინდისიერების ტესტით გამოწვეული პროფესიული არაკეთილსინდისიერების მტკიცებულება ხშირად შეიძლებოდა ქონოდა გადამწყვეტი როლი, ტესტირების ქვეშ მყოფი პიროვნების წინააღმდეგ, დისციპლინარული საქმისწარმოების შედეგისთვის, ასეთი ტესტირების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასებისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო პროფესიული გარანტიები. ეს უნდა მოიცავდეს, შესაბამისი პირის უფლებას, რომ გააპროტესტოს ტესტის შედეგები და ეროვნული სასამართლოების ვალდებულებას, სათანადოდ განიხილონ წამოჭრილი არგუმენტები, მათ დანაშაულისკენ წაქეზების ნებისმიერი სარჩელი.

სასამართლოს მიდგომის გამოყენება-

ტესტის საწყისი დაგეგმვა და განხორციელება-ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა დეტალურ პროცედურას, რომლის მიხედვითაც მოსამართლეს უნდა მოეხდინა პროფესიული კეთილსინდისიერების ტესტირების ავტორიზაცია, ასეთი ტესტირების საჭიროების გათვალისწინებით და მისი ჩატარების კონკრეტული წესის განხილვის შემდეგ. ეს საწყის ეტაპზე საკმარის გარანტიას წარმოადგენდა, მათ შორის სასამართლო ავტორიზაციას და შემდგომ ზედამხედველობას. კეთილსინდისიერების ტესტის ჩატარებამდე სახელმწიფო უწყებებს არ ჰქონიათ ობიექტური ეჭვი, რომ მომჩივანი ჩართული იყო აკრძალულ საქმიანობაში ან მიდრეკილი იყო მის მიმართ-მნიშვნელოვანი ელემენტი იმის დასადგენად, იყო თუ არა პირი დანაშაულისკენ წაქეზებული, სისხლის სამართლის პროცესის დროს. თუმცა, ამგვარი ტესტირების მიზანი არ იყო აუცილებლად იდენტიფიცირებულ პირთან დაკავშირებით უკვე არსებული ეჭვების დადასტურება.

რაც შეეხება პირთა მთელი ჯგუფის შემთხვევითი ტესტირების დაგეგმვის ეტაპს, სასამართლომ დაადგინა რომ სახელმწიფო უწყებებს უნდა განესაზღვრათ და დაედგინათ,

კორუფციული საქმიანობის რისკი მოცემულ ჯგუფში; იდენტიფიცირებული პირის მიერ საეჭვო ქმედებების შესახებ წინასწარი ცოდნის არსებობა ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეში. მომჩივანის შემთხვევაში, სახელმწიფო უწყებებმა ნათლად განსაზღვრეს EPI-ში, რაც ასევე დაადასტურა მოსამართლემ.

ტესტირების პროცედურის აღსრულების ეტაპთან დაკავშირებით მომჩივანმა წამოაყენა სადავო პრეტენზია დანაშულზე წაქეზების შესახებ, რომელზეც ეროვნულ სასამართლოებს მოუწიათ პასუხის გაცემა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. თუმცა არ იყო საჭირო იმის გადაწყვეტა, ნამდვილად დაექვემდებარა მომჩივანი დანაშაულზე წაქეზებას თუ არა, რადგან არსებობდა აშკარა პროცედურული ხარვეზები.

ტესტირების შეფასება და პროცედურული გარანტიები ზოგადად-მომჩივანმა ცალსახად წამოჭრა არგუმენტი, რომ იგი დანაშაულზე წააქეზეს, მაგრამ ეს საკითხი მხოლოდ ავტორიზაციის გამცემი მოსამართლის მიერ იყო განხილული. ამ მოსამართლემ დაადგინა, რომ მომჩივანი აგენტის ჩარევის მიუხედავად, მაინც დაარღვევდა პროფესიული ქცევის წესებს, იმის ახსნის გარეშე თუ როგორ მივიდა ამ დასკვნამდე. უფრო მეტიც, ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა საქმის მასალების საფუძველზე და მომჩივანის მოსმენის ან დანაშაულისკენ წაქეზების შესახებ წარდგენილი არგუმენტების განხილვის გარეშე.

სასამართლო არ იყო დარწმუნებული რომ ასეთი საკითხების სათანადოდ გადაწყვეტა შესაძლებელი განმცხადებლისა და გამომცდელის შეჯიბრებითი წესით მოსმენის გარეშე. გარდა ამისა, განმცხადებელს არ შეეძლო ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება, მაშინ როდესაც EPI-ს შეეძლო სააპელაციო საჩივარი შეეტანა და მოეთხოვა ნებისმიერი დამატებითი საკითხის განხილვა. იმ დროისთვის როდესაც განმცხადებელს შეეძლო დისციპლინური კომისიისთვის და სასამართლოებისთვის ნებისმიერი არგუმენტისა და მტკიცებულების წარდგენა მისი განთავისუფლების გასაჩივრებისას გადამწყვეტი გადაწყვეტილება- ვერ გაიარა თუ არა, პროფესიული კეთილსინდისიერების ტესტი-უკვე მიღებული იყო და განთავისუფლებასთან დაკავშირებით სამართალწარმოებაში მონაწილე სასამართლოებს კანონით ეკრძალებათ მისი ხელახლა განხილვა და უგულებელყოფა. ასეთ ვითარებაში, მოსამართლის დასკვნა, რომ დანაშაულის ჩადენისკენ არ მოხდა წაქეზება, არ მოიცავდა სათანადო მსჯელობას, ფაქტების გათვალისწინებით და შესაბამისად ვერ შეძლო მომჩივანის არგუმენტის სათანადოდ განხილვა. გარდა ამისა, სამართალწარმოება შეფერხებული იყო პროცედურული ხარვეზებით, კერძოდ მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევით, მომჩივანის მოსმენის ან მისთვის სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების არ მიცემის გამო. სხვა ეროვნული სასამართლოების რომლებსაც ჰქონდათ მხარეთა მოსმენისა და მათი განხილვის უპირატესობა, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზების რაიმე ფორმით განხილვის შეუძლებლობამ ვერ გააუმჯობესა სიტუაცია.

დასკვნის სახით, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეასრულეს თავიანთი ვალდებულებები, ეფექტურად განეხილათ მომჩივანის მიერ დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებისკენ

წარდგენილი პრეტენზია და არ უზრუნველყვეს სამართალწარმოების შეჯიბრებითობა. შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს პროცესის გარანტიები არ იყო დაცული.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად)

მუხლი 41: არამატერიალური ზარალის ანაზღაურების თვალსაზრისით დარღვევა დაკმაყოფილებულია; მატერიალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა უარყოფილია.